საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაისურაძე ნინო (ნანული) მიხეილის ასული

ნ. მაისურაძე

მაისურაძე ნინო (ნანული) მიხეილის ასული (დ. 19. II. 1937, თბილისი), ისტორიკოსი, ეთნომუსიკოლოგი. ისტორიის მეცნ. დოქტორი (1983), პროფესორი (1983). დაამთავრა თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტი (1961). გაიარა მუსიკისმცოდნეობის სპეც. კურსი თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორიაში (1962–64). 1961-იდან მუშაობს საქართვ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტ., არქეოლ. და ეთნოგრ. ინ-ტის ეთნოგრ. განყ-ბაში. კითხულობდა ლექციების სპეც. კურსს ეთნომუსიკოლოგიაში თსუ-სა და ს.-ს. ორბელიანის სახ. თბილ. პედ. ინ-ტში (ამჟამად ილიას სახელმწ. უნ-ტი). თბილ. უნ-ტ „გეორგიაში“, იყო ისტორიისა და ეთნოლოგიის კათედრის გამგე (1991–95).

მ-ის სამეცნ. მოღვაწეობას უკავშირდება ეთნოლოგიის დარგში მუს. ეთნოლოგიის (ეთნომუსიკოლოგიის), როგორც სამეცნ. დისციპლინის (საფუძველი ჩაეყარა აკად. გ. ჩიტაიას თაოსნობით) ჩამოყალიბება. მ-ის ნაშრომები მიეძღვნა ქართ. ტრადიციული მუსიკის, როგორც ყოფის ორგანული ნაწილის, ისტ.-ეთნოლოგიური ასპექტით შესწავლას, კულტურულ-ყოფითი და ეთნიკური ფუნქციების გამოვლენას, ქართული და ჩრდილოკავკასიური მუს. ენების ურთიერთმიმართებას და მათი ერთობის პრობლემას. ეთნომუსიკოლოგიაში შემოიტანა ტერმინი „მუსიკალური ფუძე-ენა“ („საერთო ქართველური მუსიკალური ფუძე-ენა“) და შეისწავლა მისი ჩამოყალიბების ქრონოლოგიური ჩარჩოები და მუს. დიალექტებად დიფერენციაციის პროცესი.

მ. არის მონოგრაფიების, მრავალი სტატიისა და მუს. კომპოზიციების ავტორი.

თხზ.: ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1990; ქართული ხალხური მუსიკა და ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, კრ.: ქართველი ხალხის ეთნოგენეზი, თბ., 2002; ქართული ჰიმნოგრაფია და ეროვნული ცნობიერება, „ანალები“, 2008, [ტ.] 3; ქართული ტრადიციული მუსიკა და ეროვნული ცნობიერება, თბ., 2015; ეთნომუსიკოლოგია, მუსიკალური ეთნოლოგია, გამოც. მე-2, თბ., 2018.

ლიტ.: გ ო ც ი რ ი ძ ე გ., ქართული ხალხური მუსიკის ეთნოლოგიური კვლევის სათავეებთან (ნინო მაისურაძის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით), „ანალები“ 2012, [ტ.], №8.